პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 99 (3076) 25 1966 წ. მაისი. ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საქართველოს ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში

პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ)—ი. ჩუხრუკიძე, ჯ. ხორბალაძე, ა. მარტყოფლიშვილი, ბ. მარიდაშვილი; მეორე რიგში — ი. ბორჩაშვილი, ვ. იაშვილი, ა. ზურაბაული და ნ. ყარმაზაშვილი.

●

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები იხ. მე-3 გვ.



## „ჟალგირისის" დამარცხება

კიევი, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეოთხე დღეს თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა მოსკოვის „სპარტაკს".

თბილისელებმა დამაჯერებლად დაიწყეს თამაში და ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა მატჩი სანახაობრივად უინტერესო იყო. ამ შეხვედრას დიდი ემოციები არ გამოუწვევია: მოსკოველებმა წინასწარ იცოდნენ, რომ თბილისელებთან ვერას გახდებოდნენ და თავი არ შეუწუხებიათ — მათ გადაწყვიტეს ძალები მომავალი ძნელი მატჩებისათვის შემოენახათ.

არც ჩვენებმა შეიწუხეს დიდად თავი: მეთოდურად, აუღელვებლად თამაშობდნენ და გაიმარჯვეს — 23:18 (12:9).

განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან რეზერვის მოთამაშენი — ახალგაზრდა ხელბურთელები გაზდელიანი, კიკაბიძე და ხუციშვილი. მაგალითად, ამ უკანასკნელმა შესანიშნავად მოიგერია 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

ბურევესტნიკელთაგან ბურთების ავტორები არიან: ცერცვაძე — 10, ზარდალიშვილი და ბაგრატიონი — 3-3, ფხაკაძე, იქსეულიძე და გაზდელიანი — 2-2, კიკაბიძე — 1.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტირასპოლის გუნდი — „დინამო" (ბაქო) 20:19 (9:12), „დაუგავა" (რიგა) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 9:7 (4:1), „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 15:22 (9:15), „კუნცევო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 21:16 (11:6), „ბოლშევიკი" (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 16:17 (9:9).

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 9 | 8 | 0 | 1 | 16 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 9 | 8 | 0 | 1 | 16 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 9 | 7 | 1 | 1 | 15 |

## გ. კოსტავა — მესამე

პარიზი, 23 მაისი. ფრანგ და საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა სამატჩო შეხვედრა ფრედ (8:8) დამთავრდა, მაგრამ გამარჯვება სტუმრებს მიენიჭათ, რადგან ისინი მეტოქეზე უფრო ხშირად ამთავრებდნენ შეტევებს ჩხვლეტებით. საბჭოთა გუნდს ქულები მოუტანეს: ვიტებსკიმ — 3, ნიკანჩიკოვმა და კოსტავამ — 2-2, კრისმა — 1.

სამატჩო შეხვედრის შემდეგ გაიმართა საერთაშორისო პირადი ტურნირი, რომელშიც 90 სპორტსმენი მონაწილეობდა (მათგან — 40 ფრანგი). საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა კოსტავა (III ადგილი). ნიკანჩიკოვი VI იყო, ხოლო ვიტებსკი — VIII.

პარიზიდან საბჭოთა მოფარიკავეები ვროცლავს გაემგზავრნენ, სადაც სოციალისტური ქვეყნების გუნდები იასპარეზებენ.

## ბეჭდავდა ნომრის...

◆ პოტსდამი, 24 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის XIV ეტაპზე (შვერინი — პოტსდამი, 246 კმ) ყველას აჯობა ამ ასპარეზობის დებიუტანტმა, 21 წლის ი. ვენცელმა (ჩეხოსლოვაკია) — 6:14.18. ასეთივე შედეგი აჩვენა პოლონელმა პოლევიაკმა. ამ ორ სპორტსმენთან ერთად სტადიონზე საბჭოთა გუნდის კაპიტანი გ. საიდხუჟინიც შემოიჭრა, მაგრამ მოსახვევში იგი მოულოდნელად დავარდა და სანამ ადგებოდა, მას კიდევ რამდენიმე ველოსიპედისტმა გაუსწრო. საიდხუჟინი IX ადგილზე აღმოჩნდა. 13 წამის შემდეგ ფინიშთან მივიდა დიდი ჯგუფი, რომელშიც იყვნენ ლენინგრადელი ა. პეტროვი, მინსკელი ა. დოხლიაკოვი და დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენები. აქ იყო რბოლის ლიდერიც — ფრანგი ბ. გიუიო. იგი მოწინავეობას ინარჩუნებს. გუნდურ ჩათვლაში კვლავ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები. საშუალო სისწრაფე ეტაპზე 38,5 კმ-ს უდრიდა.

◆ *მოსკოვი, 24 მაისი. დღეს აქ დაიწყო უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი. 3 იარაღის შემდეგ დაწინაურდნენ პ. ასტახოვა (28,65 ქულა) და ვ. ლისიცკი (28,020). სსრ კავშირის მარმანდელ ჩემპიონს ს. დიომიდოვს 28,015 ქულა აქვს.*

## 7 მატჩი

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აი, მათი შედეგები: „თერგი" (გროზნო) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 2:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „სპარტაკი" (გომელი) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:1, „დინამო" (ტალინი)— „დაუგავა" (რიგა) 0:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „რუბინი" (ყაზანი) 2:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი)— „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:0.

## „ა" კლასი II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 9 | 5 | 2 | 2 | 13—3 | 12 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 8 | 4 | 4 | 0 | 12—5 | 12 |
| „თერგი" (გროზნო) | 9 | 4 | 4 | 1 | 8—5 | 12 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 8 | 4 | 3 | 1 | 13—3 | 11 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 8 | 4 | 3 | 1 | 7—4 | 11 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 9 | 3 | 4 | 2 | 10—7 | 10 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 8 | 2 | 5 | 1 | 9—8 | 9 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 9 | 4 | 1 | 4 | 7—9 | 9 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 8 | 3 | 2 | 3 | 5—7 | 8 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—9 | 8 |
| „დაუგავა" (რიგა) | 8 | 2 | 3 | 3 | 9—8 | 7 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 9 | 1 | 5 | 3 | 8—9 | 7 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 5—11 | 7 |
| „დინამო" (ტალინი) | 8 | 2 | 2 | 4 | 7—7 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 8 | 2 | 2 | 4 | 4—10 | 6 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 9 | 1 | 4 | 4 | 4—11 | 6 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 8 | 0 | 3 | 5 | 2—12 | 3 |



თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი ვ. ანიკინა ქალთა შორის ახლა ყველაზე პერსპექტიულ მოცურავედ ითვლება საქართველოში. მწვრთნელის ა. საფრონოვის დაუღალავი ზრუნვით მან ბოლო წლებში საგრძნობლად დახვეწა ტექნიკა, ზედიზედ მოიპოვა გამარჯვებები, გააუმჯობესა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდები და შარშან ქალებსაც წაართვა ერთი რეკორდი, როცა 50 მეტრზე ბრასით ცურვაში ყველაზე კარგი შედეგი — 38,0 წამი აჩვენა.

მწვრთნელმა და აღსაზრდელმა წლეულს განსაკუთრებით ინტენსიური წვრთნა დაიწყეს. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისმა მათ წინაშე საკმაოდ რთული ამოცანები დააყენა, რომელთა გადაჭრისთვის ბრძოლამ ორივეს ახალი სიხარული მოუტანა.

საქართველოს სპორტკავშირის ახალ აუზში ამას წინათ გაიმართა თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, რომლის დროს ვ. ანიკინამ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 2.56,4.

ნიჭიერმა გოგონამ გუშინ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია. „მხიარული დელფინისტების" III ეტაპის შეჯიბრებაში იგი ძალას ცდიდა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. როცა ანიკინამ დისტანცია დაამთავრა, წამმზომებმა აღნიშნეს შესანიშნავი დრო — 1.21,0. ამით მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა და 4,5 წამით გააუმჯობესა მოზრდილთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 5 წლის უკან დაამყარა ლ. კრილოვამ („დინამო").

სურათზე: ვ. ანიკინა 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.



დაღესტნის ასსრ. წლევანდელ ზაფხულს მოსკოვში გაიმართება IV მსოფლიო ჩემპიონატი ავიასპორტში. სსრ კავშირის საუკეთესო მფრინავი-სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გდრ-ის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. საბჭოთა კავშირის ნაკრები ამჟამად რეგულარულ წვრთნას გადის დაღესტნის ცაში.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. პორფიროვი (მარჯვნიდან მეორე) ნაკრების გუნდის წევრებს აძლევს ინსტრუქტაჟს გაფრენის წინ.

ფოტო რ. დიკინა (საკდესი).

# სპორტული სიჭაბუკე

21 მაისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საკავშირო კომკავშირის XV ყრილობამ. კომკავშირელთა ამ დიდ ფორუმს, მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მხარდამხარ, სპორტსმენებიც გამოეხმაურნენ.

წერილში, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, მოკლედ მოგითხრობთ იმ ზრუნვაზე, რასაც კომკავშირი სპორტის მიმართ იჩენს და იმ წვლილზე, რაც კომკავშირელ ახალგაზრდებს საბჭოთა სპორტის განვითარებაში მიუძღვით.

ამ 30 წლის წინ ამურის კომსომოლსკი უჩვეულო სპორტული გმირობის მოწმე შეიქნა. ორეხოვო-ზუევოს ქარხანა „კარბოლიტის" ხუთმა კომკავშირელმა — კონსტანტინე ვლასოვმა, ვალენტინ აბორკინმა, ვლადიმერ მოისეევმა, მიხეილ ასტაფიევმა და ვიქტორ სიდოროვმა თხილამურებითა და ქვეითად გადალახეს გზა მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. მამაცმა სპორტსმენებმა 126 დღეში დაფარეს 9420 კმ. ეს გადასვლა მათ საკავშირო კომკავშირის X ყრილობას მიუძღვნეს.

და აი, 30 წლის შემდეგ საკავშირო კომკავშირის XV ყრილობის აღსანიშნავად, დამკვრელი კომკავშირული მშენებლობების, ტაიგაში გაშლილი ახალი ქალაქებისა და დაბების გავლით, ისევ დაიძრა ესტაფეტა, ამჯერად, ამურიდან მოსკოვამდე. მოლაშქრეებს სიმბოლური ჩირაღდანი მიჰქონდათ — მის ფოსოში შორეული აღმოსავლეთის მიწითა და ამურის წყლით სავსე, ჰერმეტულად დახშული ორი ამპულა იდო.

ამ ესტაფეტამ თითქოს ერთხელ კიდევ დაადასტურა თანამედროვე ახალგაზრდობისა და 30-ანი წლების კომკავშირელთა ურყევი კავშირი. მას მთელ გზაზე მიაცილებდნენ იმ პირველი გმირული ლაშქრობის მონაწილენი და ამურის კომსომოლსკის მშენებლები. სპორტსმენებმა ყრილობაზე მიიტანეს ჩირაღდანი და სალაშქრო პლანშეტი, რომელშიც იყო პატაკი შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის, ურალისა და თათრეთის კომკავშირელთა გმირული შრომისა და სპორტული ცხოვრების შესახებ.

კომკავშირის ყრილობას მიეძღვნა ბევრი სპორტული ასპარეზობა, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, მოკლეტალღოსანთა საკავშირო რადიოესტაფეტა, ახალგაზრდობის მასობრივი ტურნირები სროლაში, ვარსკვლავისებური მოტოესტაფეტა გმირ ქალაქებში...

კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო პრიზები დააწესა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტული ტანმოვარჯიშეების, მოკრივეებისა და ძალოსნებისთვის. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა მჭიდრო კავშირშია კომკავშირი სპორტთან, ფიზკულტურულ მოძრაობასთან.

ჯერ კიდევ 1920 წელს, კომკავშირის III საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებში იყო ნათქვამი, რომ „მოზარდითაობის ფიზიკური წრთობა არის ერთ-ერთი პირობა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სისტემისა საერთოდ, რაც თავის მხრივ განაპირობებს კომუნისტური საზოგადოების წევრის, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებას". კომკავშირი მთელი თავისი არსებობისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მუდამ ზრუნავდა, რომ ფიზკულტურულ მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაება. სწორედ კომკავშირის თაოსნობით შეიქმნა კომპლექსი: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის".

XIV ყრილობიდან დღემდე განვლილ ოთხ წელიწადში ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვა კომკავშირს კვლავ თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. ამ ხანში სპორტის სხვადასხვა სახეობაში და, საერთოდ, ფიზიკურ მოძრაობაში ჩაბმულთა რიცხვმა 18 მილიონით იმატა. აქედან 14 მილიონი კომკავშირელია.

საგრძნობლად გაფართოვდა მშთ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა რიგები. მარტო 1965 წელს სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები ჩააბარა 8 მილიონმა ფიზკულტურელმა. სპორტულ გვარდიას შეემატა 101 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 341 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 4500 სპორტის ოსტატი. სულ ამ ოთხ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში 23 ათასზე მეტი სპორტის ოსტატი მომზადდა.

ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა კომკავშირის XIV ყრილობიდან დღემდე დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ევროპისა და მსოფლიოს პირველობისთვის, აგრეთვე, ევროპის თასზე ჩატარებული 179 შეჯიბრებიდან საბჭოთა სპორტსმენებმა ასჯერ დაიკავეს I ადგილები. ამავე წლებში ჩვენმა სპორტსმენმა ახალგაზრდობამ 430 მსოფლიო და 1200-მდე საკავშირო რეკორდი დაამყარა. ასეთი მიღწევების სათავე, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საბჭოთა სპორტის მასობრიობაა.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენთა უმეტესობა — ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენები — ახალგაზრდაა, კომკავშირელია.

აი, რატომ იყო, რომ კომკავშირის XV ყრილობაზე შეხვდებოდით ვ. პოპენჩენკოს, ს. ბაბანინას, ნ. გაფრინდაშვილს, ა. ივანიცკის, ა. მედვედს, ნ. კუჩინსკაიას, გ. პროზუმენშჩიკოვას, მ. პაულაუსკასს, ბ. ლაგუტინსა და სხვებს, — მათ, ვინც ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავს მსოფლიო სარბიელზე. სახელგანთქმული ჩემპიონები და რეკორდსმენები მთელი საბჭოთა სპორტის, ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიის წარმომადგენლები იყვნენ კომკავშირელთა ფორუმზე.

ამ ოთხ წელიწადში კომკავშირმა ბევრი რამ გააკეთა მასობრივი ფიზკულტურისა და ტურიზმის განვითარებისთვის. იგი იყო მოთავე და უშუალო ხელმძღვანელი ბავშვთა და მოზარდთა შორის გაშლილი სპორტული შეჯიბრებებისა: „ოქროს შაიბა", „ტყავის ბურთი", „ოლიმპიური ფანტელი", „ოლიმპიური გაზაფხული"... ამ შეჯიბრებებმა დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიხვეჭეს ბავშვებში.

1964 წელს, მაგალითად, „ოლიმპიური ფანტელის" სტარტზე სამი, 1965 წელს კი — ოთხ მილიონამდე V-X-კლასელი მოსწავლე გამოვიდა.

ბავშვთა და მოზარდთა შორის 1965-1966 წლების ზამთრის სპორტული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და საინტერესო ღონისძიება იყო ნორჩ ჰოკეისტთა II საკავშირო შეჯიბრება „ოქროს შაიბის" პრიზზე. ამ ასპარეზობაში სამ მილიონამდე ბიჭმა მიიღო მონაწილეობა.

კომკავშირის თაოსნობით ჩატარებული მასობრივი შეჯიბრებები საუკეთესო სკოლაა მილიონობით ბავშვისთვის. ბევრი სწორედ ამ ასპარეზობებიდან გავიდა დიდ სარბიელზე.

კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ატარებენ, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ ჩააბაროს ნორმები სპორტულ-ტექნიკური კომპლექსისა — „იყავ მზად სამშობლოს დასაცავად". ეს კომპლექსი კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსა და დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შემოიღეს 1966 წლის 1 იანვრიდან. მისი მთავარი ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა დიდი პატრიოტიზმისა და სამშობლოსთვის თავდადების სულისკვეთებით, გამოაწრთოს იგი ფიზიკურად და სულიერად.

ჩვენმა სპორტსმენებმა 1965 წელს 3200 ახალი სტადიონი და სპორტმოედანი, ფეხბურთის 10 ათასამდე მინდორი მიიღეს. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის ახალგაზრდობას. უკრაინის კომკავშირმა, მაგალითად, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად კომკავშირულ-ახალგაზრდული სამწლედი გამოაცხადა. კიევის თვითეულმა კომკავშირელმა ივალდებულა სამწლედის სპორტულ ახალმშენებლობებზე 150 საათი იმუშაოს.

კიეველთა და ჩერკასელთა მოწოდებას დნეპროძერჟინსკის, კრივოი როგის, დნეპროპეტროვსკის, ნიკოლაევის, ლუგანსკის, ლვოვის, დონეცკის, პოლტავის, უკრაინის სხვა ქალაქებისა და ოლქების კომკავშირელებმაც აუბეს მხარი.

დნეპროძერჟინსკელებმა, მაგალითად, გადაწყვიტეს 1967 წლისთვის ააგონ 6 სტადიონი, ბავშვთა სპორტის სახლი, ზამთრის 3 დახურული აუზი, მოაწყონ ჩოგბურთის დახურული კორტი და ხელოვნურყინულიანი საციგურაო.

კომკავშირის წვლილი ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში მართლაც განუზომელია, მაგრამ იგი კიდევ უფრო იმატებს, თუ ყოველი კომკავშირელი ამიერიდანაც დიდ დროს დაუთმობს ფიზკულტურასა და სპორტს და მას ჭეშმარიტად ღვიძლ საქმედ მიიჩნევს.

**ვ. კოვალი,**
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.



ფოთის სპორტსკოლაში ბეჯითად ვარჯიშობს მეცხრეკლასელი მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ე. გვალია. მას იმედი აქვს, რომ წლეულს სანუკვარ ოცნებას აისრულებს — სპორტის ოსტატი გახდება.

სურათზე: ე. გვალია დვირზე ვარჯიშისას. მარცხნივ — მწვრთნელი ნ. აფხაზავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ყოჩაღ, დოლოგნელებო!

ქედის რაიონის სოფელ დოლოგნის კოლმეურნეობაში ფიზკულტურასა და სპორტს წლობით არავინ აქცევდა ყურადღებას. შრომისმოყვარე, ჯანმაგარ ახალგაზრდებს კი აზრიანი დასვენებაც ეწადათ, სურდათ სპორტულ სარბიელზეც ეცადათ ძალა, მაგრამ საამისოდ არც ბაზები ჰქონდათ, არც ინვენტარი... ამას წინათ გადაწყვიტეს თავად, საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყოთ სპორტული მოედნები. კოლმეურნეობის გამგეობამ მხარი დაუჭირა თაოსნებს, გამოიყო მშენებლობის ადგილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. საფარიძემ ტრაქტორიც ჩააბარა ახალგაზრდებს, ახლა თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამო...

მალე ფეხბურთის მინდორი მზად იყო. განსაკუთრებით ისახელეს თავი ი. ლორთქიფანიძემ, ო. სურმანიძემ, ზ. კოჩაძემ, ბ. კოჩაძემ...

აქვე მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებიც.

დოლოგნელებმა უკვე პირველი შეჯიბრებებიც ჩაატარეს.

ახალი სპორტული ბაზა მოემსახურება სოფლის რვაწლიან სკოლასაც.

**ნ. ბასილაძე.**

ქედის რაიონი.

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ო. ოთარაშვილს (თბილისის ასკ); **სამთო-სათხილამურო სპორტში** — ვ. ალახვერდიევს (თბილისის „დინამო"); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ო. ბესაძეს (ქუთაისის „დინამო"), თ. გოგინაშვილს (თბილისის „სპარტაკი"), ჯ. ღოჩხუას (თბილისის „დინამო"); **სამბოში** — ჯ. მახარაძეს (თბილისის „სპარტაკი"), კ. ასლანიდის (თბილისის „დინამო"), ა. შეშაბერიძეს (კასპის „განთიადი"); **ხელბურთში** — ჯ. ნიკურაძეს, მ. სხიერელს, თ. გაზდელიანს, ე. ხინჩიკაშვილს, ა. კიკაბიძეს (ყველანი — თბილისის „ბურევესტნიკი").

# გამარჯვებას მოიძიეს

თბილისში ჩატარდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს ტერიტორიული ორგანიზაციის IV სპარტაკიადა. შეჯიბრებებში მონაწილეობდა 8 კოლექტივის 344 სპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის კოლექტივმა.

**ვ. გოგიშვილი.**

[illegible]

### ტყიბული

„განთიადის" საქალაქო საბჭომ ჩაატარა სპარტაკიადა სპორტის 6 სახეობაში (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში). საერთო I ადგილი მოიპოვეს ლენინის სახელობის შახტის სპორტსმენებმა (ინსტრუქტორი უ. გოგლიძე), II ადგილზეა ორჯონიკიძის სახელობის შახტის (ინსტრუქტორი ჯ. გოგლიძე), ხოლო III — შახტმშენებლობის კოლექტივი (ინსტრუქტორი ვ. გველესიანი).

• • •

„სპარტაკის" საქალაქო საბჭოს პირველობაში მონაწილეობდა მოჭადრაკეთა 10 გუნდი. გამარჯვება წილად ხვდათ № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის წარმომადგენლებს.

**ზ. ჯორჯაძე.**

### გულრიფში

8 გუნდი მონაწილეობდა რაიონის პირველობაზე ფეხბურთში. კარგი მომზადება გამოავლინეს დრანდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან ბაბუშარისა და გულრიფშის გუნდები.

• • •

მოეწყო „კოლმეურნის" რაიონული პირველობა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. წარმატება ხვდა წილად გულრიფშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" გუნდს.

**შ. ჯალაღონია.**

# ალეებთან

ხაშურის რაიონის სოფელ ალის მეველნახეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია 400-მდე სპორტსმენს აერთიანებს. აქ ჩამოყალიბებულია ქართული ჭიდაობის, ფრენბურთის, ფეხბურთის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სექციები.

— წლეულს 6 პირველთანრიგოსანი უნდა მოვამზადოთ. ამას გარდა, 30 სპორტსმენი II, ხოლო 40 — III თანრიგის ნორმატივებს ჩააბარებს, — გვითხრა ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. კულიჯანოვმა. — ამჟამად ჩვენს სპორტულ ბაზებზე საწვრთნელი ვარჯიშია გაჩაღებული. ჯერჯერობით რაიონულ პირველობას ვუმიზნებთ სპორტის ყველა სახეობაში, მერე კი... ვნახოთ.

იმედია, ალელი სპორტსმენები თავიანთ ხელმძღვანელს სიტყვას არ გაუმტყუნებენ.

**ბ. ქიმერიძე.**

ხაშურის რაიონი.

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# წარმატების

თბილისის ზღვაზე ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირის ზონალური შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. დებულების თანახმად, ტურნირში უნდა გამოსულიყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს სპორტსმენები, მაგრამ ასპარეზობაში მხოლოდ აზერბაიჯანის ვაჟთა ორმა, საქართველოს ვაჟთა და ქალთა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა, ტაჯიკეთის ნიჩბოსნები კი მარტო პირად ჩათვლაში გამოვიდნენ. ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს სტარტამდე ჰქონდათ განაღდებული რამდენიმე ქულა. ახლა მათ ამოცანას შეადგენდა რევანში აეღოთ აზერბაიჯანის ვაჟთა გუნდთან, რომელთაგან შარშან საკავშირო პირველობაში მარცხის სიმწარე იწვნიეს.

ტურნირი გახსნეს ვაჟებმა გასაშლელი ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით. ორივე მეტოქემ 2-2 გუნდი გამოიყვანა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება უნდა დაეცვათ მცხეთისა და ქუთაისის სპორტსმენებს, მაგრამ სტარტის წინ ქუთაისელებმა ... უარი თქვეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.

გამარჯვებისთვის საინტერესო ბრძოლა გაიმართა აზერბაიჯანის II გუნდსა და საქართველოს ნაკრებს (მცხეთა) შორის. ფინიშთან პირველი მივიდა მცხეთის „კვარტეტი" — ა. ხამხაძის, უ. ნათელაშვილის, ვ. მრევლიშვილისა და გ. ბაშკინოვის (მესაჭე მ. ალიანი) შემადგენლობით — 8.09,4. მეტოქენი 7,8 წამით ჩამორჩნენ.

მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა გასაშლელი ორიანებით (უმესაჭოდ) ასპარეზობაც. ა. ერისთავმა და გ. ნიკურაძემ (8.12,6) II პრიზიორს — აზერბაიჯანის „დუეტს" (ი. პილსკანსი, ი. ბელიანინი) 14 წამით აჯობეს. III იყო ტაჯიკეთის ნავი.

ერთადგილიანი ნავებით რბოლის შემდეგ ანგარიში გახდა 2:1, ვინაიდან ი. ფროლოვმა (აზერბაიჯანი) ზედ ფინიშთან გაასწრო ფოთელ ს. კონოვალოვს. მსგავსი სურათი გამეორდა გასაშლელი მესაჭიანი ორადგილიანებით შეჯიბრებაში. ჩვენმა სპორტსმენებმა (გ. ლიქოკელი, გ. ჭუმბურიძე, მესაჭე მ. ალიანი) მთელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და სტარტიდან დაწინაურებულ აზერბაიჯანის წარმომადგენლებს (ვ. შვეცოვი, ტ. კუსოვი, მესაჭე ვ. გრიგორიევი) გაასწრეს, მაგრამ გამძლეობა ფინიშამდე არ ეყოთ და II ადგილით დაკმაყოფილდნენ.

იმის გამო, რომ უმესაჭო ოთხადგილიანი ნავებით რბოლაში საქართველომ ნავი ვერ გამოიყვანა, აზერბაიჯანის I გუნდმა უბრძოლველად გაიმარჯვა. სტუმრები დაწინაურდნენ. ეს ფაქტი მით უფრო დამაფიქრებელია, რომ ამ კლასში ადრე საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები გვყავდა.

ტურნირისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა საქართველოს წყვილმოხასმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრიგალის მოლოდინში

ყველა დიდოსტატი შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს პეტროსიან — სპასკის მატჩის პერიპეტიებს. ყოველი პარტია სპეციალისტების გაუთავებელ კამათს იწვევს. ცხადია, მატჩის შემდეგ ეს „სიტყვიერი ბრძოლა" ახალი ძალით იფეთქებს. ახლა, როცა მატჩზე სიტუაცია უკიდურესობამდეა დაძაბული, საინტერესოა მოვუსმინოთ ერთ-ერთ სახელოვან დიდოსტატს.

აი, რა მოუთხრო ჩვენს ლენინგრადელ კორესპონდენტს, ოსტატ ა. გელერს სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა ვ. კორჩნოიმ.

— ბევრი გულშემატკივარი უკმაყოფილოა ყაიმების სიმრავლით. მაგრამ ყაიმიც არის და ყაიმიც! „ზავით" დამთავრებულ მრავალ პარტიაში ერთ-ერთ მეტოქეს შეეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. მაგალითად, განა შეიძლება XII პარტია „დიდოსტატურ ყაიმად" მივიჩნიოთ?!

მატჩი უაღრესად მწვავე ბრძოლით ხასიათდება. თუ ნათამაშევ პარტიებს განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ მსოფლიო ჩემპიონი უკეთესად თამაშობს. პირადად ჩემთვის ეს სავსებით აშკარა გახლავთ. გაოცებას იწვევს დიდოსტატ დ. ბრონშტეინის კომენტარები, რომლებშიც იგი აქებს სპასკის... საქები სწორედ პეტროსიანია!

მან ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა მატჩის პირველი ნახევარი, მაგრამ ყველაზე „უიღბლო" XIII პარტიამ იგი წონასწორობიდან გამოიყვანა. მსოფლიო ჩემპიონის თამაშმა ელვარება დაკარგა. ტიგრანისთვის საბედნიეროდ, ამ მატჩს სპასკი გაუბედავად თამაშობს და ამიტომაც ვერ ისარგებლა საბედისწერო პარტიაში მეტოქის დაღლით. აქ პეტროსიანს აუცილებლად უნდა აეღო „წუთშესვენება". ახლა მდგომარეობა სტაბილური გახდა.

ნამდვილად გასაკვირია, რომ სპასკი, რომელმაც კარო-კანის დაცვის კლასიკურ ვარიანტში დაამარცხა მეტოქე, ძალიან საეჭვო დებიუტებს ირჩევს. არ მგონია, რომ მან ამის წყალობით შეილოს მატჩში გარდატეხის შეტანა. თუ კიდევ რამდენიმე პარტია ყაიმით დამთავრდა, მაშინ სპასკის გააფთრებული თავდასხმის მოწმენი გავხდებით. ამას იგი ჯერ ვერ ბედავს.

ერთი, რაშიც წინასწარმეტყველებს შევცდი, ისაა, რომ მატჩში 16-ზე მეტი ყაიმი იქნება, მე კი 16 ვიწინასწარმეტყველე.

# პრიზიორები

## ქართული ჭიდაობა

**ცხინვალი** (ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს პირადმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში ესიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა როგორც მონაწილეებზე, ისე ხალხმრავალ აუდიტორიაზე. ამის მიზეზია ალმაშფოთებელი საქციელი, რომელიც შეჯიბრების ერთ-ერთმა მონაწილემ ჩაიდინა. ჩვენი გაზეთის მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ ლაპარაკი გვაქვს ქვემძიმე წონის მოჭიდავე ფიცხიაშვილზე. მსაჯთა გადაწყვეტილებით განაწყენებულმა ათლეტმა გასარტყმელად გაიწია შეჯიბრების მთავარ მსაჯზე შ. ზუქაკიშვილზე. ამ ხულიგნურ საქციელს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი გთავაზობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს.

**უმჩატესი წონა.** 1. ჩუხრუკიძე (გორი), 2. გიორგაძე (მცხეთა), 3. ხოსიტაშვილი (გარდაბანი).

**მჩატე.** 1. ხორბალაძე (კასპი), 2. ბეჟანიშვილი (გორი), 3. ქეჟიაშვილი (თბილისი).

**ქვემსუბუქი.** 1. მარტყოფლიშვილი, 2. თორცხალაური, 3. დალაქიშვილი (სამივენი — თბილისი).

**მსუბუქი.** 1. მარიდაშვილი (თბილისი), 2. გუთნიაშვილი, 3. ბალხამიშვილი (ორივენი — კასპი).

**ქვესაშუალო.** 1. ბორჩაშვილი, 2. ნატრიაშვილი, 3. მარგველანი (ყველანი — თბილისი).

**საშუალო.** 1. იაშვილი (კასპი), 2. გულიაშვილი (თბილისი), 3. წოწინაშვილი (მცხეთა).

**ქვემძიმე.** 1. ზურაბაული (თბილისი), 2. მ. გასიევი, 3. ჯალაბიძე (ორივენი — ცხინვალი).

**მძიმე.** 1. ყაჩმაზაშვილი (გორი), 2. ლ. გასიევი (ცხინვალი), 3. მაისურაძე (გორი).

# ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თბილისის „დინამოს" თასტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად იმსჯელა კოლექტივის დუბლშემადგენლობის დაკომპლექტების საკითხზე ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეებით.

ამასთან დაკავშირებით, სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელები მახიაშვილი (თბილისის „ლოკომოტივი"), სირბილაძე (ზუგდიდი), სიხარულიძე (ლანჩხუთი) დაუბრუნდნენ თავიანთ კოლექტივებს. მათს ადგილს გუნდში დაიკავებენ 1948-49 წლებში დაბადებული პერსპექტიული მოთამაშეები საფეხბურთო სკოლებიდან და მოსამზადებელი ჯგუფებიდან.



„ბ" კლასის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგ მატჩში რუსთავის „მეტალურგმა" საკუთარ მინდორზე მიიღო კრიმსკის „უროჟაი" და დაამარცხა იგი — 8:2.

* * *

სურათზე: მასპინძელთა თავდამსხმელი დავითულიანი (ცენტრში) სახიფათოდ გადის მოწინააღმდეგის კართან.

ფოტო რ. გაბრიელისა.

# 9 რეკორდი

გასულ კვირას თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდა ძალოსანთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა, რაზეც ნათლად მეტყველებს 9 რესპუბლიკური რეკორდი. მასპინძლებზე აქედან 7 მოდის.

ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა მსუბუქი წონის ძალოსანს ი. ზატიკიანს. იგი საქართველოს 3 რეკორდის ავტორი გახდა ახალგაზრდებს შორის: აჭიმვა — 95 კგ, ატაცი — 97,5 და სამჭიდი — 312,5.

2 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ქვემსუბუქი წონის ათლეტმა ა. კირაკოსიანმა: აჭიმვა — 95, ატაცი — 93.

თითო რეკორდის ავტორები არიან ი. ბაბაევი (მჩატე წონა) — აჭიმვა — 82,5 და დ. ხიზამბარელი (მძიმე წონა) — აკვრა — 166 კგ.

სტუმართაგან რესპუბლიკური რეკორდების ავტორი გახდა ს. გაზაროვი (მსუბუქი წონა) — აჭიმვა 115, ატაცი — 105.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 11:9.

ლ. ფალიანი.



სურათზე: ლოკომოტიველი დ. ხიზამბარელი (მწვრთნელი დ. ბასილაძე), რომელმაც 5 კგ-ით გააუმჯობესა დ. შავოშვილის რესპუბლიკური რეკორდი იუნიორთათვის.

ფოტო ი. იუნაევისა.

# გუშინ...

**მოსკოვში** გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და დონეცკის „შახტიორი".

გაიმარჯვეს დონეცკელმა ფეხბურთელებმა — 2:1.

## „ა" კლასი I ჯგუფი

# საჭიროა მხოლოდ 1 ქულა

იუგოსლავიაში გრძელდება უეფა-ს ტრადიციული ტურნირი იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა კავშირის ნორჩი ფეხბურთელები ქ. სუბოტიცის მახლობლად დაბა ცრვენკაში შეხვდნენ შვეიცარიის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:1. ამავე ქვეჯგუფში მოულოდნელად დაკარგეს ქულა უნგრელებმა, რომლებმაც ფრედ ითამაშეს თურქეთის გუნდთან — 2:2.

დღეს ჩვენი იუნიორები (4 ქულა) ხვდებიან უნგრეთის ნაკრებს (3 ქულა). 1 ქულის აღებაც საკმარისია, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ.

დანარჩენ სამ ქვეჯგუფში ნახევარფინალში გასასვლელად იბრძვიან ესპანეთისა და გფრ-ის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის, იტალიისა და საფრანგეთის გუნდები.

# ახალი ამბები

● **შვერინი**, 23 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის XIII ეტაპზე (როსტოკი — შვერინი, 180 კმ) ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა ა. პეტროვმა — 4:58.03. II ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიელი ი. სმოლიკი, ხოლო III — ფრანგი ა. დევაკი. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ველოსიპედისტებმა იმარჯვეს. 13 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში კვლავ წინაა ფრანგი ბ. გიუიო. 1 წუთსა და 4 წამს აგებს მასთან II ადგილზე მყოფი ა. დოხლიაკოვი. გუნდურ ჩათვლაში ისევ ლიდერობენ საბჭოთა ველოსიპედისტები, რომლებიც 3 წუთითა და 46 წამით უსწრებენ II ადგილზე მყოფ პოლონელებს.

● **„ბ" კლასის** რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების 22 მაისს გამართული კალენდარული მატჩების შედეგები საკავშირო პირველობაზე ასეთია: „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) — „უროჟაი" (დერბენტი) 7:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) 1:1.

● **როსტოკი**, 24 მაისი. აქ დამთავრდა ავსტრიის, შვეციის, ფინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელთა საერთაშორისო პირადი ტურნირი. როგორც ცნობილია, კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვეს ნ. კუზნეცოვამ (მოსკოვი) — 281,1 ქულა და გ. სარიბეკიანმა (ერევანი) — 464,95. კუზნეცოვას მედგარი მეტოქეობა გაუწია 16 წლის გერმანელმა მოსწავლემ მ. დელიტჩმა — 278,2. ვაჟთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლ. მატესი (გდრ) — 454,10 და ი. ლობანოვი (მოსკოვი) — 434,4. ტრამპლინიდან ხტომაში შეუდარებელნი იყვნენ მასპინძლები — გერმანელი სპორტსმენები დ. რაინჰარდტი, რომელმაც თითქმის 50 ქულით მოუგო დელიტჩს (III ადგილზეა კუზნეცოვა) და მატესი — 463,05. II ადგილზეა სსრ კავშირის თასის მფლობელი ჯ. ვასინი (მოსკოვი) — 462,95. III ადგილზე დარჩა რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების მონაწილე ჰ. პოფალი (გდრ) — 435,5.

● **ბრნო**, 23 მაისი. რიგელმა ჰ. სენიჩევმა ადგილიდან სროლაში 192 სამიზნე დააზიანა და მოიგო „ბრნოს დიდი პრიზი". მეორე საბჭოთა სპორტსმენმა, მოსკოველმა ე. პეტროვმა III ადგილი დაისაკუთრა მრგვალ სტენდზე სროლაში (193 ქულა). ამ ასპარეზობაში პირველი იყო მსოფლიოს ჩემპიონი კ. კირნშპირი (გფრ) — 196 ქულა.

● **პარიზი**, 23 მაისი. საფრანგეთის სპორტული კლუბების პირველობაზე 800 მეტრზე ფინალურ რბენაში გამარჯვებულმა კ. ნიკოლამ არც თუ ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 1.57,1, მაგრამ მძლეოსანი სიხარულისგან ცეკვავდა. ხუმრობა საქმე როდია, — ფინიშის სწორზე მან გაუსწრო თვით მ. ჟაზის!

● **მოსკოვი**, 23 მაისი. იტალიის საფეხბურთო გუნდი, ვიჩენცის „ლანეროსი" სსრ კავშირს ეწვევა და 26 მაისს საერთაშორისო მატჩს გამართავს სსრ კავშირის ჩემპიონთან — მოსკოვის „ტორპედოსთან". იტალიის ჩემპიონატში ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობს და VI ადგილზეა.

# მიუხედავად

ლიანი ორადგილიანი ნავის ეკიპაჟი. ე. შევცოვმა და გ. კრივოროტოვმა 2.000 მეტრის გაცურვას 8.37,2 მოანდომეს, მაშინ, როცა აზერბაიჯანელმა ნიჩბოსნებმა (ვ. კირიუხინი, გ. ტუდე) საამისოდ 8.25,4 დახარჯეს.

რვაადგილიანი ნავებით რბოლის სტარტზე აზერბაიჯანის II და საქართველოს გუნდები დადგნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 7.06,8.

ამრიგად, ვაჟთა ასპარეზობის სახეობათა უმეტესობა აზერბაიჯანელებმა მოიგეს. მაგრამ, ვინაიდან ეს წარმატება სტუმრების ორმა გუნდმა გაინაწილა, საქართველოს კოლექტივს საბოლოოდ მეტი ქულა აღმოაჩნდა და პირველობაც მას დარჩა.

ქალთა ტურნირში, როგორც აღვნიშნეთ, გუნდი მხოლოდ მასპინძლებმა გამოიყვანეს (ორ, ოთხ და რვაადგილიანი ნავებით), მაგრამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ წყვილმოსახმელიანი ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟმა აჩვენა. ა. ხუციშვილმა, ვ. დორონინამ, ნ. იასტრემსკაიამ და ლ. ხვედურიანმა (მესაჭე ლ. რუდენკო) 1 000 მეტრი 4 წუთსა და 25 წამში დაფარეს. რვაადგილიანი ნავით მოასპარეზე სპორტსმენთა შედეგი უარესი იყო — 4.36,8.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა ჩვენებმა მოიპოვეს, აზერბაიჯანელები უკეთ იყვნენ მომზადებული. მათ რომ გუნდები სპორტსმენთა სიძლიერისა და არა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით (ბაქოსა და მინგეჩაურის გუნდები) დაეკომპლექტებინათ, შეჯიბრებას უეჭველად მოიგებდნენ (უკიდურეს შემთხვევაში, ანგარიში ხაყაიმო მაინც იქნებოდა). საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ დროულად უნდა მიხედოს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთო ფიზმომზადების გაუმჯობესებას. ამ ტურნირში შეიმჩნეოდა ტექნიკური ნაკლიც. ჩვენი წყვილმოსახმელიანი ორადგილიანი ნავის წევრები უმეტესად შეუთანხმებლად უსვამდნენ ნიჩბებს.

მეტ ზრუნვას საჭიროებს რვაადგილიანი ნავებით მოასპარეზე ვაჟთა გუნდი. ამ კლასში ადრე კარგი კოლექტივი გვყავდა, ამჯერად კი იგი არმიელთა სპორტკლუბის ნიჩბოსნებით იყო დაკომპლექტებული და ვარაუდი ვერ გაამართლა. ნაკლები იმედია სამერმისოდაც, ვინაიდან არმიელთა კოლექტივის ხშირი ცვალებადობა გუნდის წევრთა, ასე ვთქვათ, შეთამაშებას აფერხებს.

გვაფიქრებს ქალთა გუნდებიც. ნიჩბოსანი ქალი, საერთოდ, ცოტა გვყავს, რაც ძალიან აძნელებს კოლექტივის დაკომპლექტებას.

გ. ჭელიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
გ. მგალობლიშვილი.

# ყოველი მხრიდან

„ხუთი რგოლი — სამი ვარდი“

ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც გრენობლის ხელისუფალთა დაკვეთით გადაიღეს. როგორც ცნობილია, 1968 წელს გრენობლში ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს. ფილმი სწორედ დიდი ასპარეზობისთვის ამ ქალაქის სამზადისზე მოგვითხრობს.

გრენობლის გერბი სამი ალპური ვარდია. აი, ეს სამი ვარდი და ხუთი რგოლი ამშვენებს მომავალი თამაშებისადმი მიძღვნილ პლაკატს. ასპარეზობის დღეებში ვარდები და რგოლები ნეონის ფერად აბრწყინდებიან ერთ-ერთი იმ გორაკის თავზე, რომელიც ქალაქის ყოველი კუთხიდან ჩანს. გრენობლის მცხოვრებლები გულდასმით ემზადებიან შეჯიბრებისთვის. უკვე მზადაა ოლიმპიური სოფელი: თანამედროვე სტილის შენობები და 2.000 კეთილმოწყობილი ბინა. თითო ბინაში 3 ოთახია. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებისთვის 300 ბინა ცალკეა განკუთვნილი.

დაიწყო ყინულის სასახლის მშენებლობაც. იგი 12 ათას მაყურებელს დაიტევს. ამას გარდა, ოლიმპიელთა განკარგულებაში იქნება 2.500-ადგილიანი პატარა დარბაზიც. უფრო ცუდადაა მოთხილამურეების საქმე. გრენობლი ზღვის დონიდან 240 მეტრზეა და ამიტომ, სამთო-სათხილამურო და სათხილამურო ტრასები ქალაქიდან 30 კილომეტრის დაშორებით, მთებში კეთდება (სიმაღლე იქ ზღვის დონიდან 3.000 მეტრს უდრის და თოვლის სიმყარვეც კარგი იქნება).

საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, გრენობლის ბურგომისტრის მოვალეობის შემსრულებელმა მ. გლეზესმა ფილმის თაობაზე განაცხადა:

— სამი ვარდი მარტო ქალაქის სიმბოლო როდია. დაე, ეს ვარდები იქცეს ჩვენი სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ კეთილშობილური ოლიმპიური იდეებით შთაგონებული ყველა მშვიდობისმოყვარე სპორტსმენისთვის. სპორტი ადამიანთა ურთიერთგაგებას უნდა უწყობდეს ხელს. ამიტომ ჩვენ აქედანვე ვაცხადებთ, რომ არ დავუშვებთ არავითარ დისკრიმინაციას არც ერთი იმ ქვეყნის სპორტსმენთა მიმართ, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შედის.

## ვინ იქნება ფინალის მსაჯი?

ვინ იქნება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მსაჯი ლონდონში? უნდა ითქვას, რომ ამ თანამდებობას ამჟამად ორჯერ მეტი პრეტენდენტი ჰყავს, ვინემ ჟიულ რიმეს თასს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ინგლისის ტურნირისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 32 მსაჯი შეარჩია. რა თქმა უნდა, თვითეული მათგანი დიდი სიხარულითა და სიამაყით მიიღებდა ამ პატივს, მაგრამ, როგორც გერმანული გაზეთი „დოიჩეს შპორტ-ეხო“ გვატყობინებს, ფიფა-ს მონაცემებით, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს უნგრელ მსაჯს იშტვან ჟოლტს.

ჟოლტი ჯერ კიდევ 1958 წელს მსაჯობდა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში. შარშან მან სპეციალისტების დიდი ქება დაიმსახურა ევროპის თასზე ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და დასავლეთგერმანული გუნდის „მიუნჰენ 1860“-ის მატჩში ზუსტი მსაჯობის გამო.

საინტერესოა, რომ ჟოლტი პროფესიონალი მსაჯი არ არის. იგი ბუდაპეშტის ეროვნული თეატრის ტექნიკურ ხელმძღვანელად მუშაობს. რომ ჰკითხავენ, ამ ორ საქმეს ერთმანეთს როგორ უთავსებო, ჟოლტი, ჩვეულებრივ, პასუხობს:

— ფეხბურთელებსა და მსახიობებს ბევრი აქვთ საერთო. არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს გამოცდილ მსახიობზე უარესად დაჩაგრულისა და დაზარალებულის როლს, თუ კი სურს, რომ მსაჯი თავის უდანაშაულობაში დაარწმუნოს. მეორეს მხრივ, ყოველი მსახიობი სცენაზე მაყურებლებს კი არ უნდა ეკეკლუცებოდეს, არამედ თავს უნდა გრძნობდეს, როგორც ნამდვილი ფეხბურთელი, როგორც „მინდვრის მეუფე“.

## ფეხით სიარული მოუწევთ...

იაპონიის ტანმოვარჯიშეთა კავშირმა შემოიღო წესი, რომელიც, საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ცოტა უცნაურადაც მოეჩვენოს: „ამიერიდან იაპონიის ეროვნული ნაკრების ყოველ წევრს და ნაკრების წევრობის კანდიდატს უმკაცრესად ეკრძალება შეჯიბრებებზე საკუთარი მანქანით მისვლა, თუ შოფერი არ ჰყავს. ასევე ეკრძალებათ დიდი ქალაქების ქუჩებში საკუთარი მანქანით სიარული იმ ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებში იაპონიის იმედს წარმოადგენენ (იგულისხმება, რომ სპორტსმენს ნება არა აქვს თავად უჯდეს საჭეს).“

რით შეიძლება აიხსნას ასეთი განკარგულება? საქმე ის არის, რომ ახლახან ერთ-ერთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა ოლიმპიური ჩემპიონი, გამოჩენილი იაპონელი ტანმოვარჯიშე ხარუხირო იამასიტა. გუნდის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა რა პუნქტუალური კაცია იამასიტა. იცოდნენ ისიც, რომ იგი, ჩვეულებრივ, საკუთარი მანქანით დადიოდა შეჯიბრებებზე და მაშინვე დარეკეს ტრანსპორტის სამმართველოში. ადვილი წარმოსადგენია, რა თავზარი დაეცემოდათ, როცა გაიგეს, რომ „ხარუხირო იამასიტა გზაში უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა“. როგორც შემდეგ გაირკვა, საბედნიეროდ, იამასიტა დიდად არ დაშავებულა. მაგრამ ზემოხსენებული წესი მაინც შემოიღეს, რათა მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

# 100 უჯრის ოსტატები




სოხუმი, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ... სასახლის შენობაში, მიმდინარეობს სსრ კავშირში VIII საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში ჩაბმულია 14 მოშაშე: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი ვ. შჩოგოლევი, საერთაშორისო დიდოსტატი ა. ანდრეიკო, ოსტატები ვ. აგაფონოვი, მ. გალკინი, ლ. სლობოდსკოი, ვ. კაპლანი, ს. მანშინი, თ. ბარამიძე (ყველანი — სსრ კავშირი), საერთაშორისო დიდოსტატი დ. დე იონგი (ჰოლანდია), ოსტატები ე. ბრონსტრინგი, ვ. ვან დერ სლუისი (ორივენი — ჰოლანდია), ე. ფანელი (იტალია), პარიზის ჩემპიონი ჟ. მოსტოვოი და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ლ. რეიმანი.

ტურნირში უკვე განვლილია 8 ტური. ლიდერთა ჯგუფში არიან საბჭოთა მოშაშეები ლ. სლობოდსკოი (7,5 ქულა), ა. ანდრეიკო (6,5) და ვ. შჩოგოლევი (5).

წარუმატებლად თამაშობს თბილისელი თ. ბარამიძე.

* * *

სურათზე: საბრძოლო ყაიმით დამთავრდა ჰოლანდიელი ვილიამ ვან დერ სლუისისა და მოსკოველი ოსტატის მ. გალკინის შეხვედრა. თამაშს ესწრება ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილე, საბჭოთა დიდოსტატი ზ. ცირიკი.

ფოტო ი. ჰოხონელიძისა. (საქდესი).

## „ფანტაზიას იყო მოკლებული“

სარკე მოვლენებისა

ბრიუსელი, 23 მაისი. როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირისა და ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 1:0. სტადიონზე შეკრებილ 30 ათას მაყურებელზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ლ. იაშინმა მოახდინა.

წინასწარ ვიტყვით, საბჭოთა მეკარეს ამ მატჩში დიდად არ შეუწუხებია თავი. მართალია, ბელგიელები მსაჯის სასტვენისთანავე შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ წვიმისა და ქარის გამო იერიში შენელდა. თანაც, საბჭოთა ნაკრების დაცვის დამაჯერებელი მოქმედება ამ შეტევებს საჯარიმო მოედნის მისადგომებთან აქრობდა. სამაგიეროდ, სტუმართა კონტრშეტევები უფრო მწვავე იყო.

მაგრამ აი, მე-11 წუთზე კუთხურიდან ჩისლენკოს მიერ მოწოდებული ბურთი სერებრიანიკოვთან „გაჩნდა“, რომელმაც ძლიერი დარტყმით იგი კარში გაგზავნა.

25-ე წუთზე ბედმა გაუღიმა ბანიშევსკის: თავდამსხმელი პირისპირ დარჩა ბელგიელ მეკარესთან. უძლიერესი დარტყმა... ძელის ოდნავ ზევით.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა რამდენადმე იკლო. მასპინძლები უტევენ და 55-ე წუთზე, იაშინმა მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია: მან ნახტომში მოიგერია სტოკმანის ძლიერად დარტყმული ბურთი. ძალიან აქტიურობს ბელგიელთა თავდასხმის ლიდერი ვან ჰიმსტი. პლასკის მიერ საჯარიმოდან დარტყმულ ძნელ ბურთს კვლავ იგერიებს იაშინი.

შემდეგ თამაშმა კვლავ ბელგიელთა ნახევარზე გადაინაცვლა და მატჩის ბოლო წუთები სტუმართა უპირატესობით აღინიშნა.

მატჩის შეფასებისას, ჟურნალისტები სათანადოს მიუზღავენ საბჭოთა გუნდის ფიზიკურ მომზადებას, მაგრამ შენიშნავენ, რომ საბჭოთა თავდამსხმელების შეტევები „ფანტაზიას იყო მოკლებული“. დაცვაც ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს, მაგრამ ბელგიელ თავდამსხმელთა უგერგილობამ საშუალება არ მისცა მასპინძლებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებინათ.

## 32 გუნდის მონაწილეობით

უეფა-ს აღმასკომმა ბაზელში ჩაატარა დიდი საერთაშორისო ტურნირის კენჭისყრა. ტურნირში გამოვლენ იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. მოგვიანებით შეჯიბრებაში ჩაებმებიან ავსტრიის, შვეციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა გუნდები.

შეჯიბრება ჯგუფებში ტარდება 28 მაისიდან, 3 ივლისამდე. ჯგუფებში გამარჯვებულნი გადიან შემდგომ წრეში.

## ბარიკადები ტრიბუნებზე

საბერძნეთის საფეხბურთო ჩემპიონატი არნახული აჟიოტაჟის პირობებში მიმდინარეობს. ცალკეული კლუბები უნდობლობას უცხადებენ ბერძენ მსაჯებს და მიკერძოებას აბრალებენ მათ. ამიტომ ეროვნულ ფედერაციას კალენდარული მატჩების ჩასატარებლად მოუხდა სხვა ქვეყნების მსაჯების მოწვევა. მაგრამ ესეც არ შველის საქმეს. მაყურებლებს გამომწვევად უჭირავთ თავი და უკვე არაერთი მოედანი იქნა დისკვალიფიცირებული.

ამ დღეებში სალონიკში ადგილობრივი „პაოკი“ ეთამაშებოდა ათენის „პანათენაიკოსს“. თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე ანგარიში იყო 2:1 სტუმრების სასარგებლოდ. „პანათენაიკოსმა“ მესამე ბურთის გატანაც შეძლო, მაგრამ მაყურებლებმა ენით აუწერელი ყიჟინა ატეხეს, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ გოლი გატანილ იქნა თამაშგარე მდგომარეობიდან.

ეს კიდევ არაფერი. 25 ათასი მაყურებელი მინდორზე გადავიდა, ათენელ ფეხბურთელებს დაერია და მსაჯი ჰოფნერიც (ავსტრია) მაგრად მიბეგვა.

ჯარის ნაწილებმა და პოლიციელებმა კარგა ხნის განმავლობაში ვერ შეძლეს წესრიგის აღდგენა. მაყურებლებმა ტრიბუნებზე ნამდვილი ბარიკადები ააგეს და ჯარისკაცებს ქვები და ბოთლები დაუშინეს.

ათენის გაზეთები წერენ, რომ მაყურებელთა თავშეუკავებლობა საფრთხეს უქმნის ჩემპიონატის ჩატარებას.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


## საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

დღის, საღამოსა და დაუსწრებელი ფაკულტეტების I კურსზე

ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დასწრებულ ფაკულტეტებზე სწავლების ვადა 4 წელია, საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე — 5.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, სამთო-სათხილამურო სპორტი, ფარიკაობა, ველოსპორტი, სასტენდო სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი.

მსურველებმა განცხადებები უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით და დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ბოლო სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობის მიერ (კოლმეურნეთათვის). სკოლადამთავრებულებს დახასიათება-რეკომენდაციას აძლევენ სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი);
3. ავტობიოგრაფია;
4. 4 ფოტოსურათი (3×4 სმ ზომისა);
5. I ან II საფეხურის მშთ ნორმატივის ჩაბარების ცნობა;
6. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის ერთ-ერთ სახეობაში;
7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების მიერ, კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ბოლო ორ წელიწადში;
8. სკოლის ან რაიონული პოლიკლინიკის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო მოწმობა (ფორმა № 286);
9. საღამოს ან დაუსწრებელ ფაკულტეტზე შემსვლელნი წარმოადგენენ ცნობას სამსახურიდან და საცხოვრებელი ადგილიდან.

შემომსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა) ან მიწერითი ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

ა) ფიზიკა (ზეპირი);
ბ) ქიმია (ზეპირი);
გ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის;
დ) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის;
ე) სპორტული მომზადება (სპორტის ნებისმიერი სახეობა, აგრეთვე, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით (დადგენილი წესის მიხედვით).

სათანადო ცნობებისთვის მიმართეთ მისაღები გამოცდების სამდივნოს.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი.


თბილისის სპორტულ ბაზებზე

თავისუფალი ჭიდაობა. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 25-26 მაისი. თბილისის პირადი პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 26 მაისი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. VI ტური. დასაწყისი 17 ს.

საქართველოს სპორტკავშირი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის

ალექსანდრე ისიდორეს ძე აბზიანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01963